პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 27 (13148) | ოთხშაბათი, 3 თებერვალი 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საკდესის ცნობა

მიმდინარე წლის 30 იანვარს საბჭოთა კავშირში წარმატებით განხორციელდა კოსმოსური ობიექტების ახალი ვარიანტის მატარებელი რაკეტის გაშვება. წყნარი ოკეანის აკვატორიუმის რაიონში 13 ათას კილომეტრზე მეტ სიშორეზე.

რაკეტის ფრენა და ყველა მისი საფეხურის მოქმედება მიმდინარეობდა გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად.

მატარებელი რაკეტის უკანასკნელი საფეხურის მაკეტმა დიდი სიზუსტით მიაღწია წყლის ზედაპირს ვარდნის გათვალისწინებულ რაიონში.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ გამოცდის კარგ შედეგებთან დაკავშირებით ვადამდე მიმდინარე წლის 3 თებერვალს ზღვაოსნობისა და თვითმფრინავების ფრენისათვის თავისუფლდება იმ ცნობაში აღნიშნული რაიონი, რომელიც საკდესმა გაავრცელა 1965 წლის 9 იანვარს და პრესაში გამოქვეყნდა 10 იანვარს.

ლაშქრობა საუკეთესო პროდუქციისათვის

სკკპ XXII ყრილობის სახელს სიამაყით ატარებენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პირველი ღუმელის მეფოლადეები. ამ ღუმელს გ. ბერიკაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადა ემსახურება. იგი გადაჭარბებით ასრულებს გეგმას და იძლევა მაღალხარისხოვან ფოლადს.

სურათზე: გ. ბერიკაშვილი.

ფოტო გ. კიკვიძისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ხალხთა ბედნიერებისათვის მამაცი მებრძოლნი

მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ჩვენი დროის უველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა გახდა. იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლაში მტკიცდება და ფართოვდება კომუნისტური პარტიების გავლენა.

რთულ პირობებში უხდებათ ბრძოლა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის იმ რაზმებს, რომლებიც იმპერიალისტური რეაქციის ციტადელებში მოქმედებენ. გზაზე მათ ათასობით ზღუდეს და დაბრკოლებას უქმნიან. მათ წინააღმდეგ წარმოებს გაფფრებული პროპაგანდისტული კამპანია. კაპიტალის მთელი რიგი ქვეყნების მმართველები, რომლებსაც ისტორიამ ვერაფერი ვერ ასწავლა, ცდილობენ ძალდატანების გზით ამოშალონ კომუნისტური პოლიტიკური ცხოვრებიდან, კანონგარეშე აცხადებენ კომუნისტურ პარტიებს, ყოველნაირად ხელეწიფენ მათ.

თანამედროვე კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში — იწყება კომუნისტთა დევნის ახალი ტალღა. მათ უმზადებენ მორიგ პროვოკაციულ გასამართლებას. ავლაკ ეშუკრებიან ჯარიმებით, საპყრობილეებითა და საკონცენტრაციო ბანაკებით ნამდვილ ამერიკელ პატრიოტებს, დემოკრატიის, ზანგი ხალხის მოკლაკენი ერივი უფლებების, სხვადასხვა საზოგადოებრივი ნაკადულების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ყველაზე თავდადებულ დამცველებს.

აკრძალულია გერმანიის კომუნისტური პარტია. ბონის ხელისუფალთ ეშინიათ პარტიისა, რომელიც თანმიმდევრულად და შეურიგებლად იბრძვის მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ, ილაშქრებს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისათვის ატომური იარაღის გადაცემის წინააღმდეგ. იბრძვის გერმანიის საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისათვის, ომი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს კონტაქტებისა და მშვიდობიან, დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებისათვის.

ნატოს მესხეურთა კურთხევითა და მხარდაჭერით მოქმედებენ ფრანკოსა და სალაზარის ჯალათური რეჟიმები. იატაკქვეშეთის მკაცრი პირობები აქვთ შექმნილი საბერძნეთის კომუნისტებს.

ეო წყვიტა ანტიკომუნისტური, ანტიდემოკრატიული ტერორი ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში. პატრიოტებით გაჯერილია ვენესუელის, კოლუმბიის, გვატემალის, ჰონდურასის, პარაგვაის, ჰაიტის საპყრობილეები. ლათინური ამერიკის კომუნისტური პარტიების თათბირმა, რომელიც 1964 წლის დამლევს გაიმართა, აღნიშნა, რომ გაძლიერდა რეპრესიები ამ ქვეყნებში. და ეროვნულ ხალხებს აწარმოოთ გადამწყვეტი მასობრივი ბრძოლა ამ რეპრესიების წინააღმდეგ. მოაწყოს კამპანია ლათინური ამერიკის ქვეყნების მთელ რიგ კომპარტიათა ხელმძღვანელების განთავისუფლებისათვის, რომლებიც საპყრობილეებში იტანჯებიან.

დიდი ხანია აკრძალულია ფილიპინებისა და ტაილანდის კომპარტიები; რეაქციის ხელმოქმედით ახორციელებენ რეპრესიებს მემარცხენე ელემენტების მიმართ ინდოეთში; არ ნელდება ანტიკომუნისტური რეპრესიები მალაიზიაში, ირანში, ერაყში. აფრიკის მიწაზე. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც რასიზმი სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, ტერორი პატრიოტების წინააღმდეგ ხორციელდება სპეციალური კანონის — „კომუნიზმის ჩახშობის კანონის“ საფუძველზე.

მშრომელთა ინტერესების ყველაზე მედგარი, ერთგული და თანმიმდევრული დამცველების — კომუნისტების დასჯა, გაფუჭებული „ნაფირობა“ კომპარტიათა ხელმძღვანელებზე, ხანგრძლივი პატიმრობა, ხშირად გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. წამება და აბუჩად აგდება საპყრობილის დილეგებში, მკვლელობა — ყოველივე ეს ეგრეთწოდებული „თავისუფალი სამყაროს“ დამახასიათებელი ნიშნებია.

კლასობრივი ბრძოლის მრავალი წლის გამოცდილებით ხალხები რწმუნდებიან, რომ ანტიკომუნიზმის ალმით რეაქციის ძალები, ყველა ჯურის „ცოფიანები“ და „გორილები“, სულ უფრო ცდილობენ თავი აიშვან იმისათვის, რომ ჩაახშონ მშრომელთა უფლებები და თავისუფლებები ქვეყნის შიგნით და დაადგნენ მის ფარგლებს გარეთ დემპერიალისტური აგრესიულობის გზას.

კომუნისტური პარტიები, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამოცანას — განვითარონ მასების მოძრაობა, რათა მოიპოვონ დემოკრატია, რომელიც შემადგენელი ნაწილია ბრძოლისა მუშათა კლასის მთავარი მიზნების განხორციელებისათვის. ბუნებრივია, რომ არალეგალურ პირობებში მყოფი კომპარტიები ფრიად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დემოკრატიისათვის, ანტიკომუნიზმის მხილებისათვის ბრძოლას.

იატაკქვეშეთში მყოფი კომუნისტური პარტიები აქტიურად და მამაცურად მუშაობენ. კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ამუშავებენ ერთიანი განმათავისუფლებელი, ანტიმონოპოლისტური ფრონტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ხალხის შეკავშირების ფორმებსა და მეთოდებს.

ისინი ინარჩუნებენ და აძლიერებენ კავშირს მუშათა კლასთან, გლეხობასთან, მოსახლეობის ყველა ფენის დემოკრატებთან, ხელმძღვანელობენ დემონსტრაციებს, გაფიცვებს, მოძრაობას ხალხის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ეწევიან დიდ საგაზეთო მუშაობას, ქმნიან და განამტკიცებენ პარტიულ ორგანიზაციებს სამრეწველო და სასოფლო რაიონებში. „ფაშისტური დიქტატურის ძნელ პირობებში, — ნათქვამია პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — პარტიამ შეძლო გამოეჭედა მუშათა კლასისა და ხალხის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული კადრები — ნამდვილი სახალხო გმირები, რითაც იგი სამართლიანად ამაყობს“. ბონის მმართველ წრეებთან ახლოს მდგომი დასავლეთ გერმანიის გაზეთი „რაინეშერ მერკური“ შეშფოთებით წერს: „მუხუდავად აკრძალვისა, კომუნისტური მოძრაობა არ მომკვდარა! იგი ცოცხლობს... მას შემდეგ, რაც ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ აკრძალა კომუნისტური პარტია, იგი ნაალებად აქტიური როდი გახდა — პირიქით!“.

მამაცმა პატრიოტებმა, რომელთაგან ბევრი საპყრობილეებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და გადასახლებაში იტანჯება, იციან, რომ მათ მხარეზეა ყველა დემოკრატის, ყველა პროგრესული ადამიანის სიმპათია, თანაგრძნობა, მხარდაჭერა. მშრომელთა საერთაშორისო მებრძოლური სოლიდარობა, და ეს აღფრთოვანებს მათ, უნერგავს რწმენას, რომ გაიმარჯვებს საქმე, რომელსაც ისინი მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ. პარტიულ პრესას მოპაყავს მრავალი შემთხვევა, რომ მთელი ხალხი ეხმარება მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლთ. მაგალითად, ვენესუელაში ერთი თვის მანძილზე შეაგროვეს დაახლოებით 100 ათასი ხელმოწერა პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის კანონპროექტის მხარდასაჭერად. ხალხის მასების ზეგავლენით კვლავ მოიპოვა ლეგალური არსებობის უფლება: არგენტინის კომპარტიამ ძლიერებდა ფართო საზოგადოებრივის მოძრაობა ტასანეში ამნისტიისათვის, გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვას გაუქმებისათვის, პატრიოტთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან საბერძნეთის, ერაყის დილეგებში. ფართოვდება მოძრაობა იმისათვის, რომ შეწყდეს კომუნისტთა დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

რევოლუციონერ მებრძოლებს მხარს უჭერენ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა, საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციები, მთელი პროგრესული საზოგადოებრიობა.

მათ უკვე არაერთხელ შეუწყვიათ ხელი იმისათვის, რომ ჯალათთა კლანჭებიდან ეხსნათ სამართლიანი საქმისათვის ბევრი თავდადებული მებრძოლი.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირმა მსოფლიოს ყველა კომუნისტის სახელით პროლეტარული სოლიდარობა გამოუცხადა მუშათა კლასის სახელოვან შვილებს, რომლებიც საპყრობილის დილეგებში იტანჯებიან, და დემოკრატებს, რომელთა წინააღმდეგ მიმართულია რეაქციული დევნა, და მოუწოდა ხალხებს „გააჩაღონ მძლავრი საერთაშორისო კამპანია მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა გასათავისუფლებლად“.

საბჭოთა კომუნისტებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს ერთგულებს. თავიანთ წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიიჩნიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კაპიტალის ქვეყნებში მებრძოლ ძმებთან სოლიდარობის მოძრაობში. მრისხანე პროტესტით უპასუხებენ საბჭოთა ადამიანები ცნობებს ხალხთა ნათელი მომავლისათვის გმირი მებრძოლების დევნის შესახებ.

კომუნისტები მშრომელებს მიმართავენ მოწოდებებით, რომლებიც მათს გულისხმიერებას ეხმაურება: მშვიდობა, დემოკრატია, ეროვნული დამოუკიდებლობა, სოციალიზმი, ერთიანობა მსოფლიოს ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში. და ვერც ძალადობით, ვერც სოციალური დემაგოგიით, ვერავითარი „განკვეთით“ რეაქცია ვერ ჩამოაშორებს ხალხს მის კომუნისტურ ავანგარდს.

თავიანთი რიგების ერთიანობის განმტკიცებით, მუშათა კლასის ერთიანობისათვის, მის გარშემო ყველა ჩაგრულის, ყველა დემოკრატის, პატრიოტის, ანტიფაშისტის შეკავშირებისათვის ბრძოლით კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიები იკრებენ ძალებს და მოუძღვიან შრომელებს დიდი მარქსისტულ-ლენინური იდეების, კომუნიზმის იდეების გამარჯვებისაკენ.

პირველ ადგილზე

ქ ი ა ო ფ ო ტ რ ა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის საწარმოთა შორის ახლა პირველობას არავის უთმობს კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ს. კვარაცხელია, პარტბიუროს მდივანი გ. თაბაგარი). აქ შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების მეოთხე კვარტალის შედეგები. აღმოჩნდა, რომ კალინინელებმა მარგანეცის გამოღების მეოთხე კვარტალის დავალება შეასრულეს 128 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის დამზადებისა — 135,5 პროცენტით, მაღალი ხარისხების მარგანეცისა — 126 პროცენტით, შრომის ნაყოფიერებისა — 133 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების შემცირებით დაზოგეს 132.600 მანეთი.

ამ მაჩვენებლებით კალინინის სახელობის მაღაროს კოლექტივს მარგანეცის მრეწველობაში მიეკუთვნა პირველი ადგილი, გადაეცა მარგანტრესტისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

გემთმშენებლებმა გაძაფყვიტეს

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის კოლექტივმა მოიწონა და მხარი დაუჭირა მოსკოვისა და ლენინგრადის 28 საწარმოს მშრომელთა კოლექტივების თაოსნობას, რომლებმაც სამეცნიერო-საკვლევე, სპარეულტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან და უმაღლეს საწავლებლებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით იკისრეს სამოცდათი წლის განმავლობაში მიაღწიონ ტექნიკურ-ეკონომიკურ საბჭოთა პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს.

გემთმშენებლებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ქარხანაში ყოველგვარი შესაძლებლობა არსებობს, რათა გამოშვებული პროდუქცია იყოს მაღალი ტექნიკური დონისა, გამძლე და სანიმედო, რასთვისაც გადაწყვეტეს წელს დაამთავრონ საბჭესთვის კატერების მოდერნიზაცია. წელს აითვისებენ „არადიის“ ტიპის გასასეირნებელი თბოგემების მშენებლობას, მოამზადებენ ყველა პირობას, რათა 1966 წელს შეუდგნენ მინაბალასტიანის ოთი ტიპური ხომალდის გემის მშენებლობას. ეცდებიან, რომ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებთან ერთად ერთ-ერთ ორ-სამ-ოთხ წლის განმავლობაში ქარხნის პროდუქცია: თევზის ხორცსხვრი, საიმედოობითა და გამოსადეგობით ვაუტოლდეს ამ სახის პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს. წელს შარშანდელთან შედარებით 23 პროცენტით გადიდებენ სხვადასხვა ზომისა და ტიპების გემების გამოშვებას. მონდომებით იბრძოლებენ კომუნისტური შრომის საწარმოს სამპატიო სახელის მოსაპოვებლად.

ტაშკენტის ელექტროტექნიკური ქარხნის ტრანსფორმატორების ცენტრალური

ტაშკენტელ ქვანასშირის ტრანსტის ცენტრალურ გამამდიდრებელ ფაბრიკაში შარშან იყო დაბალი ხარისხის კონცენტრატის გამოშვების ფაქტები.

ახალი წლის წინა დღეებში მოსკოვისა და ლენინგრადის 38 საწარმოს თაოსნობამ ფართო მხარდაჭერა პოვა ქვანახშირის გამამდიდრებელთა შორის. მათ გულდასმით აწონ-დაწონეს არსებული შესაძლებლობანი და იკისრეს მომავალში მხოლოდ საუკეთესო, მაღალი ხარისხის კონცენტრატი გაუგზავნონ ქართველ მეტალურგებს. საამისოდ მათ მიმდინარე წელს უკვე ბევრი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიება განახორციელეს. ამ დღეებში ამუშავდა ახალი, გაუმჯობესებული მარკის საფლოტაციო მანქანა. მოძველებული ცენტროფუგები შეიცვალა ახლით. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბოლოსათვის ფაბრიკაში დაინერგება ქვანახშირის გაუხვება იზოტოპების გამოყენებით.

ვ. ჯღარკავა.

ძმური მეგობრობა, თანამშრომლობა

ამხანაგებმა ფიდელ კასტრო რუსმა და ოსვალდო დორტიკოს ტორადომ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ი. მიკოიანსა და ა. ნ. კოსიგინს გამოუგზავნეს დეპეშა, რომელშიც მადლობას გამოთქვამენ კუბის რევოლუციის გამარჯვების 6 წლისთავის გამო ძმური მისალმებისათვის.

დეპეშაში გამოთქმულია რწმენა, რომ ორივე ხალხისა და მთავრობის ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა დღითიდღე სულ უფრო მტკიცე და ნაყოფიერი გახდება იმ საერთო მეცადინეობაში, რომელიც ხორციელდება ყველა ფრონტზე იმპერიალიზმის გასანადგურებლად, სოციალიზმის გამარჯვების დასაჩქარებლად, სოციალისტური ბანაკის ერთობის განსამტკიცებლად და ჩაგრული ხალხებისათვის დახმარების გასაწევად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა საპასუხო დეპეშა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ჯუ დემ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ საპასუხო დეპეშა გამოუგზავნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიკოიანსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს. ისინი მადლობას უძღვნიან მისალოცი დეპეშისათვის, რომელიც გაუგზავნეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელ პოსტებზე მათი არჩევისა და დანიშვნის გამო.

დეპეშაში მოძმე საბჭოთა ხალხს უსურვებენ ახალ წარმატებებს. „გაუმარჯოს ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მარადიულ ძმურ კავშირსა და დიად მეგობრობას, რასაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი“, — ნათქვამია დეპეშაში. (საკდესი).

სკკპ დელეგაცია დარხანში ჩავიდა

დარხანი, 2 თებერვალი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუმრად მყოფი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ნ. შელეპინის მეთაურობით დღეს ჩამოვიდა ქალაქ დარხანში, სადაც გაეცნობა მონღოლეთის უდიდესი სამრეწველო-კულტურული კომბინატის მშენებლობას. ეს კომპლექსი საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება.

საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

დირსეულად აღვნიშნოთ სახელოვანი ოცი წლისთავი

მთელ რესპუბლიკაში დაიწყო მზადება ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების ოცი წლისთავისათვის. 9 მაისის სახეიმოდ აღსანიშნავად ემზადებიან აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადწყვეტილებით შეიქმნა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლისთავისადმი ძიძღვნილ ღონისძიებათა განხორციელების „რესპუბლიკური შტაბი, რომელსაც მეთაურობს სამამულო ომის მონაწილე გადამდგარი პოლკოვნიკი ვ. კულაკოვი. შტაბის შემადგენლობაში არიან ომის ვეტერანები, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდობის რედაქციების, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

გიმართა შტაბის პირველი სხდომა. გადწყვეტილია ორგანიზებულად აღინიშნოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე — 23 თებერვალი. რესპუბლიკის ყველა სკოლაში მოეწყობა შეხვედრები ომის ვეტერანებთან, ლექციები, საუბრები, საღამოები. სკოლების კომკავშირულ ორგანიზაციებს დაეალა შოძებნონ გმირთა უცნობი საფლავები, ანტიკომუნიზმის მხილებისათვის ბრძოლას.

იატაკქვეშეთში მყოფი კომუნისტური პარტიები აქტიურად და მამაცურად მუშაობენ. კონკრეტული პირობების გათვალისწინებით ამუშავებენ ერთიანი განმათავისუფლებელი, ანტიმონოპოლისტური ფრონტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ხალხის შეკავშირების ფორმებსა და მეთოდებს.

ისინი ინარჩუნებენ და აძლიერებენ კავშირს მუშათა კლასთან, გლეხობასთან, მოსახლეობის ყველა ფენის დემოკრატებთან, ხელმძღვანელობენ დემონსტრაციებს, გაფიცვებს, მოძრაობას ხალხის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. ეწევიან დიდ საგაზეთო მუშაობას, ქმნიან და განამტკიცებენ პარტიულ ორგანიზაციებს სამრეწველო და სასოფლო რაიონებში. „ფაშისტური დიქტატურის ძნელ პირობებში, — ნათქვამია პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, — პარტიამ შეძლო გამოეჭედა მუშათა კლასისა და ხალხის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული კადრები — ნამდვილი სახალხო გმირები, რითაც იგი სამართლიანად ამაყობს“. ბონის მმართველ წრეებთან ახლოს მდგომი დასავლეთ გერმანიის გაზეთი „რაინეშერ მერკური“ შეშფოთებით წერს: „მუხუდავად აკრძალვისა, კომუნისტური მოძრაობა არ მომკვდარა! იგი ცოცხლობს... მას შემდეგ, რაც ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ აკრძალა კომუნისტური პარტია, იგი ნაალებად აქტიური როდი გახდა — პირიქით!“.

მამაცმა პატრიოტებმა, რომელთაგან ბევრი საპყრობილეებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და გადასახლებაში იტანჯება, იციან, რომ მათ მხარეზეა ყველა დემოკრატის, ყველა პროგრესული ადამიანის სიმპათია, თანაგრძნობა, მხარდაჭერა. მშრომელთა საერთაშორისო მებრძოლური სოლიდარობა, და ეს აღფრთოვანებს მათ, უნერგავს რწმენას, რომ გაიმარჯვებს საქმე, რომელსაც ისინი მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ. პარტიულ პრესას მოპაყავს მრავალი შემთხვევა, რომ მთელი ხალხი ეხმარება მშრომელთა ინტერესებისათვის მებრძოლთ. მაგალითად, ვენესუელაში ერთი თვის მანძილზე შეაგროვეს დაახლოებით 100 ათასი ხელმოწერა პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიის კანონპროექტის მხარდასაჭერად. ხალხის მასების ზეგავლენით კვლავ მოიპოვა ლეგალური არსებობის უფლება: არგენტინის კომპარტიამ ძლიერებდა ფართო საზოგადოებრივის მოძრაობა ტასანეში ამნისტიისათვის, გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვას გაუქმებისათვის, პატრიოტთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ იტანჯებიან საბერძნეთის, ერაყის დილეგებში. ფართოვდება მოძრაობა იმისათვის, რომ შეწყდეს კომუნისტთა დევნა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

ოქტიაბრი

საგაზაფხულოდ!



პატრიოტული გადაწყვეტილება

თბილისი წყარო. (საკ. კორ.). კოდის კოლმეურნეობაში ახლახან დაამთავრეს 1970 წლისათვის პროდუქციის წარმოების ზრდის პერსპექტიული გეგმის შედგენა.

რას ითვალისწინებს ეს გეგმა? 1970 წლისათვის მარცვლეულის წარმოება 2.000 ტონიდან გაიზრდება 4.950 ტონამდე, ხოლო რძისა — 1950 ტონიდან 4.250 ტონამდე.

წელს საგაზაფხულო კულტურებს დათესავენ 476 ჰექტარზე, აქედან კარტოფილს — 25 ჰექტარზე, მზესუმზირას — 40 ჰექტარზე, ტარიალს — 15 ჰექტარზე, ბოსტნეულს — 20 ჰექტარზე, სიმინდს კი დაეთმობა 300 ჰექტარი. წელს გაზაფხულზე კოლმეურნეობაში დამატებით აითვისებენ 40 ჰექტარ ყამირს.

წლეულადელი წლის უნგ მოსავალს ჯერ კიდევ მარშან შემოდგომაზე ჩაუყარეს საფუძველი. ნათესებში შეიტანეს 200 ტონამდე მინერალური და 300 ტონამდე ორგანული სასუქი. წელს დამატებით შეიტანენ 150 ტონა მინერალურ სასუქს. ამასთან ერთად 1.200 ჰექტარ ნათესებში გამოიყენებენ ჰერბიციდებს.

მარცვლეულ კულტურებს გარდა, ახალი გეგმით გათვალისწინებულია მეცხოველეობის განვითარებაც. უფინარეს ყოვლისა ითვალისწინებენ პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუჯობესებას და მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. წელს აქ 180 ძროხისათვის დაამონტაჟებენ მექანიკურ საწველავ აგრეგატს, გათვალისწინებულია ახალი ბოსლების, დათვლელის პუნქტებისა და ფარეხების მშენებლობა.

ამჟამად კოლმეურნეობაში არსებული 160 ძროხის ნაცვლად 1970 წლისათვის იყოლიებენ 250 ძროხას და საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღებენ 2.500 კილოგრამ რძეს.

კოლეგიუმ ეს გეგმები რეალურია. ახლა მთავარია მათი განხორციელება.

სასუქი მინდვრად

სილნაღი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს ორგანული სასუქის გატანა ველ-მინდვრებსა და ვენახებში. ჯუგაანის კოლმეურნეობამ პირველ მარტამდე ორი ათასი ტონა ნაკელი უნდა გაზიდოს. მექანიზატორებმა ვ. ჯიქურაშვილმა, ე. და შ. კიკილაშვილებმა, შ. მუშკუდიანმა, ა. ჩითიძაშვილმა უკვე 600 ტონა სასუქი შეიტანეს ვენახებსა და სახნავ-სათესე ფართობებში.

ტიბაანის, ჭეგმო მაჩხანის, ძველი ანანეს კოლმეურნეობებში ორგანული სასუქის გატანა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სათადარიგო ნაწილების მოლოდინში

წულუკიძის რაიონის მექანიზატორებსა და მეჩაიეებს ხელი ეშლებათ ფართო ფრონტით გაგაზაფხლ მინდერებისა და პლანტაციების სამუშაოები. წინა წლებში შეძენილი „ტ-16“ მარკის 13 ტრაქტორს, რომლებიც მალე ჩაის პუნქტებს სასხლეკად უნდა გავიდნენ, კასტალური რემონტი ესაჭიროება. სამწუხაროდ, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, სათადარიგო ნაწილები დღემდე ვერ იმოვნეს.

სათადარიგო ნაწილების უქონლობით ფერხდება მინდვრად სამუშაო ტრაქტორების რემონტიც. ქ. წულუკიძის ქვანახშირის სახელობის კოლმეურნეობის „ტ-54“ მარკის ტრაქტორი ს

„კომუნისტი“ ეძიებს ჟურნალისტებს!

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲡᲐᲛᲮᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲢᲘ

№22

ᲐᲛ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲗ:

- ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲖᲐ—ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲗ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐᲡ
- ᲐᲦᲕᲙᲕᲔᲗᲝᲗ ᲒᲣᲚᲪᲘᲕᲝᲑᲐ, ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ
- ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲘ�გᲜᲐᲚᲔᲑᲘ. ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲠᲘᲕ ᲛᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲡ

ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲣᲑᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲙᲒᲐᲜᲐᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲐᲣᲐᲠᲔᲡᲔᲡ! — ᲘᲪᲧᲝᲛᲜᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ „ᲔᲚᲕᲐ-ᲤᲘᲒᲣᲠᲪᲔᲚᲘ“. ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲐᲛᲓᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲒᲔᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲓᲐ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲪᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲠᲝᲠᲛᲝᲜᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲗ ᲣᲛᲐᲚᲕᲔ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲔᲡᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲔᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲑᲘᲣᲠᲝ. ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐᲒᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲗᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲪᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲠᲝᲠᲛᲝᲜᲘᲙᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲣᲑᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲠᲘᲠᲪᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲜᲝᲛᲒᲔᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲓᲐ, ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲪᲠᲪᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲓᲒᲝᲛᲐ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲝᲕᲚᲘᲗ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲚᲔᲑ

ყოველი მხრიდან

პანოი მოელის ძვირფას სტუმრებს

ახალი წლის ღამე ჰანოიში

ჰანოი, 2 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი იტყობინება:

თოთქმის გარიჟრაჟამდე გრძელდებოდა დღეს მასობრივი სეირნობა ვიეტნამის დედაქალაქის ცენტრში ილუმინაციის სხვადასხვა ფერის ნაფურებით განათებული, დაბრუნებული მახვილის ტბის გარშემო. ვიეტნამელები დღესასწაულობენ ახალ წელს მოვარის კალენდარით.

რამდენიმე წინასადღესასწაულო დღის განმავლობაში პროვინციებში მომავალი მატარებლები და ავტობუსები ხალხით იყო გაჭედილი. საქმის არის, რომ ვიეტნამელთა ახალი წელი ტრადიციული საოჯახო დღესასწაულია. ამიტომ ყოველი ვიეტნამელი, სადაც უნდა იყოს, ამ დღეებში ესწრაფვის დაბრუნდეს იმ ადგილებში, სადაც დაიბადა. მაგრამ წარსულ ღამეს მეტად ძნელი იყო შეგემჩნიათ დედაქალაქის მოსახლეობის დროებითი შემცირება.

დაბრუნებული მახვილის ტბის ახლო მდებარე ქუჩებში. დღესასწაულის გამო გამართულ საესტრადო მოედნებზე. წყნარ კაფიებში ნაპირზე. ნემსი არსად ჩავარდებოდა. არც ერთი წუთით არ შემწყდარა პეტარდების კანონადა.

საკდესის კორესპონდენტი საღამესასწაულოდ განწყობილ უამრავ ხალხს შორის შეხვდა სხვადასხვა ადამიანს: ჰანოის უნივერსიტეტის სტუდენტს, ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშას, მხატვართა კოოპერატივის წევრს. როცა გაიგეს, რომ საბჭოთა ჟურნალისტი ესაუბრებოდა, სიხარულით ელიმებოდნენ და ამბობდნენ. რომ დედაქალაქის მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მომავალ ჩამოსვლას ჰანოიში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მეთაურობით.

„ეს შესანიშნავია!“, „საბჭოთა ხალხი ყოველთვის ჩვენი საუკეთესო მეგობარი და ძმა იყო!“ — ამბობდნენ ისინი.

საპატიო საბჭოთა სტუმრების მომავალი ვიზიტი ვიეტნამში ნომერი ერთი მოვლენაა ვიეტნამელი ხალხისათვის — ასეთია ამ ადამინთა საერთო აზრი.

ჟურნალისტთა პროტესტი

პრაღა, 2 თებერვალი. (საკდესი). ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ გუშინ კონგოს რესპუბლიკის (დედაქალაქი ლეოპოლდვილი) მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მტკიცე პროტესტს აცხადებს „იზვესტიის“ კორესპონდენტის ნ. ხოხლოვის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე სრულიად აფრიკის ჟურნალისტთა ასოციაციას აკრაში. დეპეშაში მოუწოდეს მსარი დაუჭიროს მის პროტესტს და მოითხოვოს ნ. ბ. ხოხლოვის განთავისუფლება. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს მის შემადგენლობაში შემავალ ყველა ჟურნალისტთა კავშირს გაშალონ ფართო კამპანია საბჭოთა ჟურნალისტის განთავისუფლებისათვის.

უთანხმოება გრძელდება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომა

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. საკდესის კორესპონდენტები ლ. ველერანსკი და ს. ლოსევი ეუწყებიან:

მე-19 სესიის მუშაობის ნორმალიზაციის საკითხებზე კონსულტაციების გასაგრძელებლად გამოცხადებული ოთხი დღის შესვენების შემდეგ გენერალურმა ასამბლეამ გუშინ მოაწყო ოფიციალური სხდომა, რომელიც სულ ნახევარ საათს გაგრძელდა.

გენერალური ასამბლეის მუშაობა, როგორც ცნობილია, შეფერხა ამერიკის შეერთებული შტატების უკანონო მოთხოვნამ, რომ ბმის უფლება აკარონ ასამბლეაში მთელ რიგ სახელმწიფოებს, რომლებიც უარს ამბობენ მონაწილეობა მიიღონ კონგოსა და შუა აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოპერაციებისათვის გაწეული ხარჯების დაფარვაში.

სანამ საერთაშორისო დისკუსია მიმდინარეობდა, გენერალური ასამბლეის სესია იცავდა დროებით პროცედურას, „რაც საშუალებას აძლევდა, თავი აერიდებინა მე-19 მუხლის მიყენების საკითხის გამო კენჭისყრისა და აშკარა შეტაკებისათვის. საერთაშორისო დისკუსიის დამთავრების შედეგად გენერალური ასამბლეის წინაშე დასახა უმუალო ამოცანა — დაუბრუნდეს ნორმალურ პროცედურას.

გუშინ გენერალურმა მდივანმა უ ტანმა დელეგატებს აცნობა, რომ უთანხმოება ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი. უ ტანმა გენერალურ ასამბლეას აცნობა, რომ მთელი მეცადინეობის მიუხედავად, დღემდე ვერ მიაღწიეს შეთანხმებას „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვის ოპერაციათა“ დაფინანსების პროცედურისა და ვადების შესახებ. მაგრამ მან დასძინა, რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ ზოგად პრინციპზე თანხმობა მიღწეულია.

შემდეგ გენერალური ასამბლეის სესიის თავმჯდომარემ კვეიაონ-სეკმ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს გაარკვიონ მეცადინეობა მეთანხმების მისაღწევად და წინადადება წამოაყენა ერთი კვირით გადაიდოს სესიის მუშაობა, რათა დელეგაციებმა შეისწავლონ უ ტანის განცხადება და განაგრძონ ურთიერთ კონსულტაციები. ეს წინადადება ერთხმად მიიღეს. გენერალური ასამბლეის შემდეგი პლენარული სხდომა დანიშნულია 8 თებერვალს.

ნ. ტ. ფედორენკოს წერილი უ ტანისადმი

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაავრცელეს გენერალური მდივნის უ ტანის „გადასინჯული მოხსენება“, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ საღამოს წერილი გაუგზავნა უ ტანს.

წერილში კვლავ მქცევა ყურადღება იმას, რომ უკანონო და უსაფუძვლოა მოხსენებაში მოცემული მტკიცებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რიგი ქვეყნების ეგრეთწოდებული ფინანსური დავალების შესახებ, და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში უკვე იყო ჩამოყალიბებული წერილში, რომელიც ნ. ტ ფედორენკომ გაუგზავნა. უ ტანს 1965 წლის 21 იანვარს.

სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენლობამ გაერთიანებული ერების ორკანიზაციაში მაშინ განაცხადა პრობლემები და მიიჩნია, რომ უ ტანის მოხსენების პირველი ვარიანტი ასაბუთებს შეერთებული შტატების პოზიციას, რომლებიც ცდილობენ დაკისრონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს ფინანსური პასუხისმგებლობა იმ აგრესიული აქციების შედეგებისათვის, რაც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა განახორციელეს ახლო და შუა აღმოსავლეთსა და კონგოში.

ლ. ჯონსონის მოსსენება

განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის საბჭოს საქმიანობის შესახებ

□

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა კონგრესს გაუგზავნა მეოთხე ყოველწლიური მოხსენება და ამერიკის განიარაღებისა შეიარაღებისადმი კონტროლის საბჭოს 1964 წლის საქმიანობის შესახებ.

მოხსენება შეიცავს მთელ რიგ ზოგად დეკლარაციებს იმის შესახებ, რომ დღემნიშვნელოვანი და გადაუდებელია „შეიარაღების კონტროლის“ პრობლემა, საშიშია ატომური იარაღის გავრცელება, ატომურ საუკუნეში უაზრობაა ომი, იმის შესახებ, რომ მხოლოდ ატომური იარაღის მარაგის გადიდება ვერ უზრუნველყოფს ეროვნულ უშიშროებას. მოხსენებაში ბევრი რამ არის ნათქვამი ამერიკის შეერთებული შტატების კეთილგანზრახვებსა და მაღალ მიზნებზე. ამასთან აქ ხაზგასმით არის აღნიშნული „შეიარაღების კონტროლის“ პრობლემის „განსაკუთრებული სირთულე და სიძნელე“ როგორც საშინაო ისე საერთაშორისო თვალსაზრისით.

მოხსენებაში დაწერილებით არის აღწერილი მოლაპარაკება 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი ენევაში და ამერიკის წინადადებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია პრეზიდენტ ჯონსონის 1964 წლის 21 იანვრის წერილში. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ეს წინადადებანი საფუძველად დაედო ამერიკის პოზიციას 18 სახელმწიფოს კომიტეტში 1964 წელს და ისინი კვლავ დღის წესრიგში იქნება, როგორც კი კომიტეტი მუშაობას განაახლებს ზამთრის შესვენების შემდეგ. ამ განცხადებას მოხსენება შეიცავს იმის მიუხედავად, რომ 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობამ უკვე ცხადყო: ამერიკის პოზიცია ენევაში მოლაპარაკებაზე განიარაღების შესახებ უნაყოფო გამოდგა. თვით მოხსენებაშიც აღიარებულია, რომ წინადადებას ნატო მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის შესახებ, რომელსაც ასე გაფფრებით იცავენ შეერთებული შტატები, მხოლოდ გააძნელა ატომური იარაღის გაუვრცელებლობის საკითხის განხილვა ჟენევაში.

ATOMURI SEIARARAGEBIS წინააღმდეგ

დელი, 1 თებერვალი. (საკდესი). ატომური იარაღის ყოველ შემდგომ გავრცელებას მოჰყვება მეტისმეტად სერიოზული შედეგები, განაცხადა ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ლალ ბაჰადურ შასტრიმ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ტრივანდრამის ტექნიკურ კოლეჯში.

ინდოეთმა, თქვა შასტრიმ, გადაწყვიტა არ ჩაებას გამაღებულ ატომურ შეიარაღებაში და არ აწარმოოს ატომური ბომბები. დასასრულ შასტრიმ მოუწოდა მთელი მსოფლიოს მეცნიერებს გამოიყენონ მეცნიერების მიღწეები. მშვიდობიანი მიზნით და გააფართოონ საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობა კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ბანდი საიგონს მიეშურება

ვაშინგტონი, 2 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ოვენლიო უშბროკის საქმეებში ლენინ ბანდი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლ. ჯონსონის განკარგულებით დღეს გაფრინდება სამხრეთ ვიეტნამში. პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველის გაგზავნა საგიონში მოწმობს, რომ ვაშინგტონს სერიოზულად აწუხებს საქმის ვითარება სამხრეთ ვიეტნამში. თეთრი სახლის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში ჯორჯ რიდიმ, ბანდის გაგზავნრა რომ გამოაცხადა, აგრეთვე აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში გამართა თათბირი უმაღლეს დონეზე. განიხილეს სამხრეთ ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობა. თათბირს დაესწრნენ ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირები და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან პოლიტიკისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

აფეთქება შახტში

ერთ-ერთ შახტში ქალაქ ლანსის მახლობლად (ჩრდილოეთი საფრანგეთი) მოხდა აფეთქება, მიწისქვეშ მოიშალა ფუთმეტივე კაცი შახტში ჩაიმარხა. ჯერჯერობით სამელმა რაზმებმა მხოლოდ ექვსი მეშახტის გვამი იპოვნეს.

სიცხეები სიცილიაში

სიცილიის კუნძულზე წელიწადის ამ დროისათვის უჩვეულო სიცხეა. 1 თებერვალს პალერმოში ჩრდილში იყო 26 გრადუსი. (საკდესი).

პოლიცია მძვინვარებს

პარიზი, 2 თებერვალი. (საკდესი). მადრიდის სამხედრო ტრიბუნალმა ახალი სასამართლო პროცესი აღძრა ხუსტო ლოპეს დე ლა ფუენტეს წინააღმდეგ, რომელიც უკვე იხდის 18 წლის პატიმრობას, იუწყება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მადრიდიდან. 60 წლის ხუსტო ლოპეს დე ლა ფუენტე ფრანკოს საყურობლელში დაამწყვდიეს იმ ბრალდებით, რომ ესპანეთის კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდა. ახლა მის წინააღმდეგ წამოყენებულია ბრალდება — „ხანგრძლივი სამხედრო ამბოხება“ — ესპანეთის სამოქალაქო ომში მონაწილეობა ერთ-ერთი რესპუბლიკური ბრიგადის მეთაურად. ეს იგივე ბრალდებაა, რომლითაც სიკვდილი მიესაჯა ესპანელ კომუნისტს ხულიან გრიმაუს.

სტუმრად უნგრეთში

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით ბუდაპეშტში ჩავიდა იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი როსანა როსანდა.

გრძელვადიანი პიანისტი

ნიუ-იორკი, 2 თებერვალი. (საკდესი). ჩვენს დროში ოატომდაც არ ეფეკრობთ საბჭოთა პიანისტებზე, როგორც ბეთჰოვენის ნაწარმოებთა შესრულებელ ოსტატებზე, მაგრამ სწორედ იაკობ ზაკი ბეთჰოვენის ერთ-ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი. ტენნეკა, ბეგრა, სტილის პრობლემები ყველაფერი გადაჭრილი და მკაფიოდ იყო ნაჩვენები კონცერტზე. დაბალდებალი კაცი, რომელიც როიალთან იჯდა — გიგანტია—ასე მთავრდება გაზეთ „ნიუ-იორკ უორლდ ტელეგრამის“ რეცენზია საბჭოთა პიანისტის იაკობ ზაკის კონცერტის გამო, რომელიც „კარნეგი ჰოლში“ გიმართა.

ამ დღეებში ი. ი. ზაკი მიემგზავრება კანადაში, სადაც კონცერტებს გამართავს მონრეალსა და ვანკუვერში. შემდეგ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდება და ვაშინგტონში გამართავს დასკვნით კონცერტს.

მომავალი არჩევნები კვიპროსში

ნიკოზია, 1 თებერვალი, (საკდესი). კვიპროსის პრესის წარმომადგენელთა კითხვაზე პრეზიდენტმა მაკარიოსმა განაცხადა: „მიუხედავად იმისა, თუ შემდგომ როგორ განვითარდება მოვლენები კვიპროსში, მომდინარე წლის ივლისისთვის გაიმართება რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის და პარლამენტის წევრთა არჩევნები რწმუნებათა ვადის გასვლის გამო. მაგრამ, ეს არჩევნები მოეწყობა ახალ საარჩევნო კანონის შესაბამისად, რომელიც მომზადდება არჩევნებამდე ორი თვით ადრე“.



ფ. რ. კოზლოვის დაკრძალვა

2 თებერვალს წითელ მოედანზე მოხდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს [illegible] ფ. რ. კოზლოვის [illegible] დაკრძალვა.

სამგლოვიარო კორტეჟი, რომელიც კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზიდან მოდიოდა, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის წინ გაჩერდა.

მაუზოლეუმის ტრიბუნაზე ავიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, ფ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გოლშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. ო. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი, აგრეთვე დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დიპლომატი. ფ. რ. კოზლოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ნ. ტიტოვმა.

სიტყვები წარმოთქვეს სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. კუზნეცოვმა და სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ს. ტოლსტიკოვმა.

სამგლოვიარო მიტინგის დამთავრების შემდეგ ურნა ფ. რ. კოზლოვის ნეშტით ვადაიტანეს კრემლის კედელთან და ჩადგეს ნიშში. (საკდესი).

მოლაპარაკება გელგრადში

გელგრადში დაიწყო იუგოსლავიისა და საბერძნეთის დელეგაციების პოლიტიკური მოლაპარაკება. იუგოსლავიის დელეგაციას მეთაურობს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე პ. სტამბოლიჩი. საბერძნეთის დელეგაციას — საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი გ. პაპანდრეუ.

ამასწინათ კოპენჰაგენის ერთ-ერთ ქუჩაზე ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა სახეში გაარტყა ადგილობრივ მუშას, რომელმაც, როგორც ეს ჰირველად იანკს მოეჩვენა, მის ავტომანქანას არასაკმაოდ სწრაფად გაუთავისუფლა გზა. ეს ნათლად ჩანს ჰერლუფ ბიდსტრუპის ნახატზე.

(„ლანგ ორ ფოლკ“-ილ).

ვიეტნამური ჩანახატები

ატომ არის ვიეტნამი ასე საოცრად ლამაზი? სიბრტყეთა გასაკვირველი სიმეტრიაა: ვრცელი ველები, და იქვე ზეაჭრილი ციკლოპური მთები, ქედებად და მთაგრეხილებად რომ იქცევიან. წყალუხვი მდინარეები, თითქოს წინაგრძნობა ეუბნებათ, ოკეანე აქვე ჩაგხთვამთო, არ ჩქარობენ, მდოვრედ და ზვიადად მიედინებიან.

ბევრი, ძალიან ბევრი წყალია ვიეტნამში, ხოლო როცა მორწყულია ბრინჯის ნათესები, გგონია ხმელეთი გამქრალა, ნიაღვარს წაულეკავსო. წყალში მიწის ოაზისები მოჩანს. ზედ მწიფე ნაყოფით დახუნძლული ბანანებია, დიდი კაქტუსები, ეკვატორისპირა ზონის ფლორა. ისმის ძაღლების ყეფა. ეს სოფლია. შემოსულა პამიდორი, კიტრი. ოქროსფერი ნაყოფით დაფარულია მანდარინის, ფორთოხლის ხეები. ჰაერი გაჟღენთილია აპაიის სურნელით, უხვად არის მწვანილი. ვიეტნამი დეკემბერში ისეთია, როგორიც საქართველო მაისში. დეკემბერია, ზამთარია, მაგრამ დღისით 15-20 გრადუსი სითბოა. ღამეობით ცოტა უფრო გრილა, და ვიეტნამელები კოცონებს ეფიცხებიან, სალამოვდება. წყალი, ცა, მთები, ქედები ფერების აუწერელ სიმფონიას ქმნიან. სჭარბობს მეწამული, შინდის, ლალის, იის ფერები.

მზე მიდის მშფოთვარე დასავლეთისაკენ, ოკეანეში მნათობის ჩამავალი სხივები ალბათ აშუქებენ ამერიკის შეერთებული შტატების მემბიდე ფლოტის ავბედითი ხომალდების სილუეტებს. ცა მიწისაკენ ეშვება. მიწა ცისაკენ მიიწევს. ქედების მწვერვალები ვარსკვლავებს ებჯინება. წყალში მთვარე, სატუონი და იუპიტერი ჩანს. თენდება, მდინარეთა ზედაპირს ბურუსი დაჰფენია, მთების ფერდობებზე, თითქოს ცხრები ძოვენო, მიდი-მოდიან ღრუბლების ნაფლეთები. ვიეტნამი კვლავ წარმოგვიდგება თავისი განუმეორებელი სილამაზით.

წყალში გაჯიმულია გზის ვიწრო ზოლი, მოსახვევებში მარცხნივ, მარჯვნივ, ცოტა მოშორებით გორაკზე მოჩანს ბუნკერები, ფორტები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილი. ეს ძველია არა შორეული, არამედ ახლო წარსულისა, ფრანგ კოლონიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლის დროისა. ერთ ფორტს დიდი წარწერა აქვს: „დიდება სამხრეთვიეტნამელ ძმებს, რომლებიც ამერიკელ იმპერიალისტებს ებრძვიან“, მეორე მხარეს ბუნკერზე ასულან პატარა ბიჭები და სის თოფებს „უშენენ“ მაღლა ცაში ჭორს. ყველაფერი ეს ლამაზად ჩაბატულია ვიეტნამის თანამედროვე პეიზაჟში.

ორ ცვები წყლიდან ამოზიდულია. ისინი ბევრია, ზოგან ჯგუფ-ჯგუფად. ზოგი მათგანი დაბალია, ზოგი ცოტა მაღალი. ესენი სასაფლაოებია. აქვე ბრინჯის ყანებში მარხავენ მიცვალებულებს. იზიდავს გლეხს მშობლიური მიწა. მიწაზე ატარებს იგი თავის სიცოცხლეს. აქ ბრინჯისა და სხვა მარცვლეულის ერთნახევარ, ორ მოსავალს იღებენ წელიწადში. უნდათ სამი აიღონ. მზე და მიწა ამის შესაძლებლობას იძლევიან. ვიეტნამელები წყალში ზოგჯერ წელამდე ჩამდგარნი მუშაობენ. ესენი არიან მიწათმოქმედნი, მებადურნი, ესენი არიან მამაკაცები, მაგრამ სჭარბობენ ქალები, მოზარდები.

მიწის მუშა სიცოცხლეს რომ ეთხოვება, მისი მიწიერი ნეტი იქვე მინდორში რჩება. როცა გლეხი კაცში ან გუთანში შებმულ კამეს მიერეკება, გონიერი ცხოველი ფრთხილად უქცევს გვერდს საფლავებს. ვიეტნამელთა შრომას რომ ვუყურებდი, მეჩვენებოდა, რომ უზარმაზარ მდინარეებში წყალი კი არა, ადამიანთა ოფლი მიედინებოდა. ვიეტნამელს უყვარს თავისი მიწა, ვინაიდან, როგორც ვიეტნამში ამბობენ, შრომა და ზრუნვა სიყვარულს წარმოშობს.

ვიეტნამის მშვენება იქაური ქალია. გათენებიდან გვიან ღამემდე გზებითა და ბილიკებით დადის მხრებზე სამხრეგადაკიდებული ვიეტნამელი ქალი. რა არ არის ოსტატურად მოწნული კალათებში. მოულოდნელად გადმოყოფს თავს მოღიმარი ვიეტნამელი ბავშვი, მაგრამ უფრო ხშირად კალათებშია მიწის ნაყოფი — ბრინჯი, ქერი, ხორბალი, მანდარინი, ბატატი, ბანოკი, სოოახო საგნები, სასუქები, საშენი მასალები.

მიდას ქალი ერთხელ აღებული რიტმით, მოხრილი კი არა (თუმცა ზოგჯერ 40 კილოგრამამდე ტვირთი მიაქვს), არამედ წელში გამართული, ამაყად აწეული თავით, მშვიდი, ალერსიანი სახით, ახალგაზრდა თუა, თვალებში ცეცხლი უფეთქავს, თოვლივით თეთრი კბილები უელავს. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არსად არ მინახავს ასეთი მშვიდი, თავდაჭერილი, ალერსიანი ბიჭები და გოგონები. ისინი გუნდ-გუნდად დადიან, მანქანას გუნდ-გუნდად შემოეხვევიან. უცხო ადამიანებს რომ დაინახავენ, ხელს უქნევენ, როცა გაიგებენ, ესენი საბჭოთა ადამიანები არიანო, მიესალმებიან: „ბაკ ლოუენ სო“, „საბჭოთა ძიები“ —გაისმის ყოველი მხრიდან.

ოდნავ უფროსები ჰაწიეს უკლიან, მოზარდები — ძუძუთა და-ძმებს. მათ ძალიან განვითარებული აქვთ კოლექტივიზმის, ოჯახისათვის, მახლობელთა კეთილდღეობისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

სწავლობს ყველა. წიგნს კითხულობს მოხუცი და ახალგაზრდა. ბრინჯის ყანაში შვიდიოდე წლის ბიჭუნა კამეჩზე შესკუპებულა, ფეხი ფეხზე შემოუდვია და გატაცებით კითხულობს წიგნს. იქნებ ის კითხულობს ტოპის ბავშვიანურ და წარმტაც ზღაპარს ჭრიჭინაზე, ასე ოსტატურად რომ უთარგმნია რუსულად მარიან ტკაჩოვს, ჩვენს მოუდალავ მეგზურს ვიეტნამში. აი, გოგონა, ისიც შვიდი-რვა წლისა. გაწოლილა კარგად მოგლილი, სამსუქნისაგან დამრგვალებული კამეჩის ზურგზე, თავქვეშ ხელი ამოუდვია, ფართოფარფლებიანი ქუდით მზე მოუჩრდილებია და აგრეთვე გატაცებით კითხულობს. სულ ცოტა დრო გავა, და უძველესი კულტურის ქვეყანას უდიდესი ინტელექტუალური ძალა ეყოლება.

კოლუმბს ჯერ ამერიკა არ აღმოეჩინა, რომ ბრძენი ნგუენ ჩაი თავისი ხალხის გენიით გაციცარუნებულ ლექსებსა და პოემებს წერდა. სხვათა შორის, სამი პორტრეტი ამკობს ვიეტნამის მწერალთა კავშირის მისაღებ დარბაზს — ნგუენ ჩაის, მაკსიმ გორკისა და ლუ სინისა. ვიეტნამის ახალგაზრდობა ახლა ნგუენ ჩაისაგან სწავლობს სიბრძნეს, სამშობლოს სიყვარულს, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავდადებას.

ბოტი თორმეტი წლისაა. სახეზე დამწვრობის ნაკვალევები აჩნევია. სკვდიანი, სრულიად არამავშვურად დაფიქრებული თვალები აქვს. ლაპარაკობს ნელა, ხარვეზებით. გვიამბობს ახნეულად, მეხსიერება ღალატობს. ბოტი სამხრეთ ვიეტნამიდან არის. მესამე კლასის მოსწავლეა. 1964 წლის 8 ივლისს დღის სამ საათზე მფოფრინდა მზვერავ-მაკორექტირებელი თვითმფრინავი, და სკოლას მაშინვე არტილერია დაუშინეს. „მოკლული. ცოტა იყო, ტრანშეებში ჩახტომა მოვასწარით, მაგრამ მოფრინდნენ ამერიკული თვითმფრინავები, დაგვიწყეს დაბომბვა. ნაპალმის ბომბებმა ცეცხლი გაუჩინა სკოლას. 40 მოსწავლე მოკლეს, 60 მძიმედ დაიჭრა. ორი გოგონა ჩირაღდანივით იწვოდა და ჩვენს თვალწინ ცოცხლივ დაიწვა. მეც ალი მომედო, ხელები, ტანისამოსი მეწვოდა, ცეცხლი სახეს ეტანებოდა მომეშველნენ მშობლები, ძლივს ჩააქრეს ცეცხლი. გადაწყვიტეს საავადმყოფოში წავეყვანეთ.

დიდხანს ვმკურნალობდი იქ. საბოლოოდ მხოლოდ აქ, ჩრდილოეთ ვიეტნამში განვიკურნე. მე ცოცხალი მაინც დავრჩი, ნამბიკის ოჯახში კი დიდი უბედურებაა. დიასახლისი მოკვდა, ორი გოგონა მოკლეს. სახლი დაეწვათ. იმავე დღეს საღამოს ხუთ საათზე, როგორც დედამ მიამბო, ჩვენს სოფელს ზარბაზნები დაუშინეს. ბევრი მოკლეს და დაჭრეს, ჩემი სკოლის ამხანაგი გოგონა ნანი ჭკუაზე შეიშალა.

ბოტი მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს — როგორმე ერთი ამერიკული თვითმფრინავი მაინც ჩამოაგდოს. საეჭვოა, რომ მას ეს ოცნება აუხდეს. როცა ის წამოიზრდება, ამერიკელები აღარ იქნებიან ვიეტნამის მიწაზე.

ვანიდან ქალაქ ვინ-ლინს რომ მიაღწიო, მეჩვიდმეტე პარალელთან ბორნით ხუთჯერ უნდა გადახვიდე წყალუხვ მდინარეებზე. ზღვის მოქცევის პერიოდებში საათობით უნდა ელოდო უკუქცევას. მდინარე რონთან რომ მივედით, ბორანი გაღმა, სამხრეთ მხარეს იყო. შეიკრიბა ბევრი ხალხი, მანქანები, აქვე აღმოჩნდა ჯარის შენაერთი. ბუნებრივია, რომ ჩვენმა „ვოლგამ“ ყურადღება მიიპყრო, ავტომანქანაში მყოფთაც ბორნის მომლოდინენი ინტერესით გვაკვირდებოდნენ. გარს შემოგვეხვიენენ სახალხო არმიის მეომრები. დიენ ბიენ ფუსთან ბრძოლების გმირმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა, მაიორმა ნგუენ დინ ტხიმ, რომელიც სამხრეთში მოგზაურობისას გვახლდა, ჯარისკაცებს უთხრა, საბჭოთა ამხანაგებს შორის ბორის პოლეკოი არისო. გაისმა ტაში, მებრძოლები გარს შემოეხვიენენ ბორის ნიკოლოზის-ძეს „მერესიევ, მერესიევ“, — გაისმა ხმები. გაიმართა მეკითხველთა სახელდასახელო, კინფერენცია, რომელიც ბორანზე და მდინარის გაღმა ნაპირზე გაგრძელდა. ასევე მოხდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის ზედ საზღვარზე. მდინარე ბენ-ჰოიზე მესაზღვრეებთან, რომლებიც ოვაციით შეხვდნენ ბ. პოლეკოის გამოსვლას. კვლავ გაისმა ხმები: „მერესიევ, მერესიევ“. არანაკლები აღფრთოვანებით შეხვდნენ მებრძოლები რუსთაველის ცნობილ სიტყვებს: „სჯობს სიცოცხლისა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. შემდეგ კი ქალაქ ნამ დინში, ბვიან სალამოს, ფეიქარი ქალები თითქმის ოთხ საათს მსჯელობდნენ ბ. პოლეკოის მოთხრობაზე „კაცი კაცისათვის მეგობარია“.

ვანიდან ოცდაათიოდე კილომეტრზე, ეკალის ზემოთ ცაზე ბოლზე დგას მსოფლიოს ერთ-ერთი უნიკალური ჩანაფიქრით დეკორაციის ბანმხატავს. ამ პაგოდაში ხისგან გაკეთებული სამოცი სკულპტურული გამოსახულებაა. ბევრი მათგანი გაკეთებულია სამასი, ოთხასი წლის ზოგი კი ხუთასი წლის წინათაც. პაგოდის შესახებ გვესაუბრებოდა სამოცდაათი წლის ბონზა, რომელსაც საოცრად პოეტური სახელი აქვს — ფუკ ჰაი, რაც ნიშნავს „ბედნიერების ლედას“.

სხვა შესანიშნავ ნამუშევართა გარდა იქ გამოსახული ბუდა სამ მდგომარეობაში: ახლადშობილი, ქეშმარიტების მაძიებელი და მისი შემცნობი, უკვე ნეტარებაში მყოფი. სამივე ქანდაკება შესანიშნავია, მაგრამ მოაზროვნე, ქეშმარიტების შეცნობის მისწრაფებით გატაცებული ბუდა უთუოდ გენიოსის ნახელავია. ფიდიასი, მიქელანჯო არ იტყოდნენ უარს მის ავტორობაზე. ფუკ ჰაიმ გვითხრა: „ვიდაც ფრანგი მოეკლდაკე ოთხ წელიწადს ოჯდა აქ და ცვილობდა ქანდაკების ასლი გაეკეთებინა, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა, დაბნეულმა და შეშუხებულმა დატოვა პაგოდა, მხოლოდ ჩანახატები წაიღო“. სასურველია, რომ კაცობრიობა იცნობდეს ვიეტნამელი ხალხის საჭრისის გენიოსთა ქმნილებებს.

„იცით, რატომ გამოუვიდა ოსტატს ყველაზე უკეთ სწორედ ეს ბუდა, — შეეკითხენ ფუკ ჰაის, — შესაძლოა იმიტომ, რომ სწრაფვაში სიცოცხლეა, მიღწევაში კი სიკვდილი, როგორც გოეთე ამბობდა“. მოხუცი დაფიქრდა და გაბრწყინებული სახით წარმოთქვა: „მომწონს გოეთეს აზრი. მე გეტყვით სხვა აფორიზმს, რომელსაც ბუდას მიაწერენ, — განაგრძო ფუკ ჰაიმ, — მხოლოდ მაშინ, თუ აწმყოს შეიცნობ, შეიძლება წარმოიდგინო წარსული და იოცნებო მომავალზე“. აქ უკვე ჩემი ჯერი დადგა მეთქვა, რომ „მომწონს ეს აზრი“.

* * *

ვიეტნამის აწმყო მკაფიო წარმოდგენას გვაძლევს მის წარსულზე, მის დიად მომავალზე სოციალისტური ქვეყნების შეკავშირებულ ოჯახში. ვიეტნამი, მდიდარი წარსულის, გმირული აწმყოს ქვეყანა, მოლიანად ესწრაფვის მომავალს, და ამაშია მისი უკვდავება.

ვლ. მაჰაშვარიანი.

ჰანოი-თბილისი.

1964 წ. დეკემბერი — 1965 წ. იანვარი.

* * *

სურათებზე: ვიეტნამელები და ვიეტნამური პეიზაჟები.

ფ

ᲫᲘᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ

ᲕᲘᲫᲘᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲖᲔ

ᲑᲣᲡᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ მუსიკის მიღწევებზე ჩვეულებრივად ჩვენი კომპოზიტორების შემოქმედების განხილვით შემოიფარგლება ხოლმე. ამაზე თუნდაც ჩვენი პუბლიცისტიკის გამოცდილები მეტყველებს, და ეს შემთხვევითი როდია.

თანამედროვე მუსიკას იდეოლოგიური ძალის მნიშვნელობა აქვს, ხოლო მისი ფასი თვითმყოფობითია და ერის ცხოვრების ასახვის სიღრმით განისაზღვრება.

დღიდან პროფესიული მუსიკის ჩასახვისა ჩვენში ამ პირობებს ყველაზე მეტი უშუალობით და დამაჯერებლობით კომპოზიტორთა შემოქმედება უასებებს. ზ. ფალიაშვილის დროიდან მოყოლებული ქართველი კომპოზიტორები ჩვენი მუსიკის ავანგარდულ ძალას ქმნიან და მის სახეს და დონეს განსაზღვრავენ.

ზ. ფალიაშვილის მუსიკის სიდიადის საწინდარი ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ხასიმღერო ტრადიციები გახლდათ. „აბესალომ და ეთერი“ ქართული გულის ნიაღში იშვა, იგი ობერად ქცეული ქართული სიმღერაა. ჩვენი გუნდების ესთეტიკამ და კომპოზიციურმა თავისებურებებმა, ორიგინალურმა ენამ განაპირობა ფალიაშვილის ოპერის ღირსშესანიშნავი მხარეები: ეროიკური იდეებისა და მხატვრული სახეების ამაღლებულობა, დრამატურგიის ორატორიული ხასიათი, მუსიკის ეროვნულობა.

მომდევნო თაობებმა არსებითად ახალი გზები გაუკაფეს ქართულ კულტურას. გააფართოვეს და გააღრმავეს მისი პრობლემატიკა. ამამაღლეს მისი პროფესიული დონე, დაუახლოვეს იგი თანამედროვე აზროვნებას და ტექნიკურ შესაძლებლობებს. მაგრამ ფალიაშვილის მოღვაწეობის მთავარი პრინციპი — ეროვნული მუსიკალური კულტურის აგება ხალხური შემოქმედების საფუძველზე — ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ეროვნული თვითმყოფობა მუსიკის შემოქმედთა მთავარი საზრუნავია დღესაც და ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტი არა მარტო თეორიული მსჯელობის საგნად უნდა იქცეს, არამედ პრაქტიკულ საქმიანობასაც დაედოს საფუძვლად. მხოლოდ ამ პირობებში შეძლებს ჩვენი ხელოვნება თავისი მაღალი მისიის შესრულებას, მაგრამ სწორედ ამ პრობლემის განხილვისას ხდება ცხადი, რომ ეროვნული თვითმყოფობა არა მარტო კომპოზიტორთა შემოქმედების დამახასიათებელი მხარეა, არამედ იმის მაჩვენებელიც, თუ რამდენად აქტიურია თვით ხალხის როლი მუსიკალურ შემოქმედებაში, რა ადგილი უჭირავს მუსიკას ჩვენს საზოგადოებაში, და კერძოდ, რა მოვლენებს ეხმაურება იგი.

ყოველი ერის მუსიკაში შეგვიძლია მოვახდინოთ ნაწარმოებთა პოლარიზაცია მათი ხალხური შემოქმედების საწყისებთან სიახლოვის თვალსაზრისით. რუსული მუსიკის მაგალითით რომ ვიმსჯელოთ, მუსორგსკის, ბოროდინის, რიმსკი-კორსაკოვის, ნაწილობრივ სტრავინსკის ქმნილებებში უშუალოდ შეიგრძნობა ფოლკლორის ზეგავლენა, ხალხური მუსიკის წიაღიდან მომდინარე სუნთქვა. ჩაიკოვსკის, სკრიაბინის, პროკოფიევის, შოსტაკოვიჩის ნაწარმოებთა შორის შეიძლება ბევრი ისეთი ნიმუშიც დავასახელოთ, რომელთაც მცირე რამ აქვთ საერთო ხალხური მუსიკის წყაროებთან (ყოველ შემთხვევაში ეს სიახლოვე მათი უშუალოდ მოსმენის დროს არ აღიქმება).

ჩვენშიც შეგვიძლია ასეთი პრინციპით გავმიჯნოთ მთელი რიგი ნაწარმოებები. მართალია, თითქმის ვერ დავასახელებთ ვერცერთ კომპოზიტორს, რომელიც შემოქმედებით დაკავშირებული არ იყოს ხალხურ წყაროებთან, მაგრამ ბოლო წლების მანძილზე განსაკუთრებით ბევრი ისეთი პიესაც დაიწერა, სადაც ქართული ხალხური მუსიკის ზეგავლენა არცთუ ისე მკვეთრად შეიგრძნობა. მაგალითად, „ყური მიუგდეთ ს. ნასიძის მეორე საფორტეპიანო კონცერტს, ა. მაჭავარიანის „ოტელოს“, ბ. კვერნაძის ქორეოგრაფიულ პოემა „სერაფიტას“, ს. ცინცაძის „დემონის“ მოელ რიგ ფურცლებს და მათში აღმოაჩენთ ბევრ ისეთ მხარესაც, რომლებიც უწინ ჩვენი „მუსიკისათვის არ იყო დამახასიათებელი და ხალხური ტრადიციებისათვის უცხო.

კარგია ეს თუ ცუდი? სამწუხაროდ, ასეთი პრინციპული პირდაპირობით ამ კითხვას ისევ მუსიკოსები სვამენ და ხშირად ფოლკლორულ საწყისებთან სიახლოვის თვალსაზრისით აფასებენ ნაწარმოების სიავკარგს. ცხადია, მხოლოდ ეს მხარე ვერ განსაზღვრავს ნაწარმოების ხარისხს. იგი შეიძლება სულაც მოელებული იყოს ეროვნულ კოლორიტს. მაგრამ ფსიქოლოგიური სიღრმე, მუსიკალური ენის მომზიდველობა, სიახლე და მრავალი სხვა ღირსება ჰქონდეს. მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: თუ კი მუსიკა საქართველოზე და ქართველებზე მოგვითხრობს, თუ იგი ჩვენი მამულიშვილების ნააზრია და ნაგრძნობის განზოგადებაა (განურჩევლად იმისა, თუ რა მოვლენებს ეხება). მაშინ მას ქართული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეროვნული ხასიათისა და ეროვნული იერის უქონლად არ არსებობს ეროვნული მუსიკა.

ფალიაშვილს როდი ახასიათებს, მხოლოდ ჩვენი მუსიკის გამოცდილებას რომ დავკერდეთ, მრავალ მაგალითს დავასახელებდით. თითქმის არცერთმა ქართველმა კომპოზიტორმა გვერდი არ აუარა ამ შესაძლებლობას, სიმღერის უცვლელად გამოყენების მეთოდს, როგორც ჩანს. ბევრი დადებითი მხარე აქვს. ისეც ხდება, რომ თვით დრამატურგია უკარნახებს კომპოზიტორს შესაფერის ნიმუშს. მაგალითად, ა. ბალანჩივაძის პირველ სიმფონიაში სახეების დრამატული განვითარების გარკვეულ ეტაპზე შემოიპრება ხალხური „საიერიშო“, რომელიც ამკვიდრებს გმირულ ხასიათებას, შ. მშველიძის „დიდოსტატის მარკვენაში“ რელიგიური რიტუალის დროს სავსებით გამართლებულია საწესჩვეულებო „ჯვრის წერისას“ ყიერა, ნ. მამისაშვილის სიუიტას „გურიის აკვარელებში“ თავისებურ ლეიტმოტივად გასდევს გურული სახუმარო, რომელიც თითქოს ამ კუთხეზეც მოგვითითებს და ნაწარმოების ლირიკულ-იუმორისტულ ხასიათსაც განსაზღვრავს. ს. ცინცაძის II სიმფონიაში კვარტეტის ნელ ნაწილში ვარიაციულად განვითარებულია ხალხური „მზე შინა და მზე გარეთა“, ო. თაქთაქიშვილის საფორტეპიანო კონცერტის სეერცოში ყიერს ხალხური „თებრონე მიდის წყალზე“ და სხვ.

ხალხური მასალის ციტირებას (განსაკუთრებით ზ. ფალიაშვილის ხანაში) დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი არა მარტო ამა თუ იმ დრამატურგიული ჩანაფიქრების განსახიერებას უწყობდა ხელს, არამედ მშობლიური მუსიკის საუნჯეთა გამომზეურებასაც: მსმენელთა ფართო მასები ეცნობოდნენ მდიდარ მასალას, რომლის ესთეტიკურ მიმზიდველობას კომპოზიტორთა ოსტატობა უდავოდ აძლიერებდა.

მაგრამ ამ მეთოდის გამოყენების მთავარი შედეგი მაინც ის იყო, რომ მან განაპირობა ჩვენი მუსიკის დამოუკიდებელი ჟანრობრივ-ინტონაციური საფუძვლის ჩამოყალიბება, ქართულ პროფესიულ ხელოვნებაში ეროვნული ფორმების ფართოდ დამკვიდრება. აი თუნდაც ერთ-ერთი მაგალითი: ბეთჰოვენის დროიდან დაწყებული ევროპელი კომპოზიტორები გმირული საწყისის დასამკვიდრებლად ხშირად მიმართავენ მარშის ჟანრს („ზოპენი, ლისტი, ვერდი, ვაგნერი, რ. შტრაუსი და სხვ.). ქართული ხალხური მუსიკა მრავალ ორიგინალურ ჟანრსა და ფორმას შეიცავს, რომელთაც არანაკლებ გამომსახველობით შეუძლიათ იგივე ფუნქცია შეასრულონ: ლაშქრული და მგზავრული სიმღერები, საგმირო ეპოსის ისეთი ნიმუში, როგორიც არის „მუმლი მუხასა“, საფერხულოები, „ხორუმი“ და სხვ. და მართლაც, ჩვენს კომპოზიტორებს არაერთგზის მიუმართავთ ამ ჟანრებისათვის გმირული სახეების გამოსახატავად.

მაგრამ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ხალხური მასალის მომარჯვების სხვა ხერხიც, რომელიც ავრეთვე ფალიაშვილს დროიდან შემოდის ჩვენს მუსიკაში. კომპოზიტორები იყენებენ არა მთელ სიმღერას, არამედ მის რომელიმე ელემენტს (ტიპიურ მელოდიურ მიმოხვრას, ან რიტმულ ნახატს, ბგერით რიგს ან ტემბრალურ თავისებურებას). ცხადია, რომ ამ შემთხვევაში მუსიკის დანარჩენი მხარეები, რომლებიც ხალხურ პირველწყაროებთან არ არიან დაკავშირებულნი, სრულიად უჩვეულო, ახალ იერს აძლევენ ნაცნობსა და ტრადიციულს, მის რადიკალურ გარდასახვაფერებას განაპირობებენ.

ქართული მუსიკის განვითარებას თავალი რომ გადავავლოთ, დავრწმუნდებით, რომ ამ მეთოდს მუდამ როდი ჰქონია ერთნაირი მნიშვნელობა ჩვენი ხელოვნებისათვის: სიმძიმის ცენტრი თანდათან მეორეზე გადადის. მართალია, დღესაც იქმნება ნაწარმოებები, რომლებშიც ფოლკლორული ნიმუშები შესაძლოა მთლიანი სახით იქნას გამოყენებული (ამაში დაკვარწმუნა ამას წინათ შესრულებულმა ო. თაქთაქიშვილის კანტატამ „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელშიც ხალხური „ჩონგურული“ აუღერდა), მაგრამ დღეს არსებითად ისეთი ნაწარმოებები იქმნება, რომლებშიც ხალხური საწყისების ზეგავლენა გამუალებულია ან და სულაც არ შეიგრძნობა.

ეს კავშირი თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა კილოურ სტრუქტურაში და ზოგიერთ რიტმულ-ინტონაციურ თავისებურებებში ვლინდება. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალური ენის გამძაფრებისადმი სწრაფვა დამახასიათებელ მოვლენად იქცა. ამ სფეროში მშობლიურსა და ნაცნობთან ერთად ბევრია მოტანილიც და იშდეფულური შემოქმედების ნაყოფიც. აი ფოლკლორისადმი თანამედროვე დამოკიდებულების ერთ-ერთი დამახასიათებელი მაგალითი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ახალგაზრდა კომპოზიტორის ნ. გაბუნაის ვოკალურ-ინსტრუმენტულ „არაკს“ სულხან საბა ორბელიანის ერთ-ერთი იგავის მიხედვით. კომპოზიტორმა გამოიყენა გურულ-მეგრული ფოლკლორის მთელი რიგი თავისებურებანი და მათ შორის თვით სიმღერის მანერაც, რაც საკმაოდ სპეციფიკურია. ხალხური ელემენტები ამ ნაწარმოებში ბრწყინვალედ არის ნაჩრდნობი და ოსტატურადაც გამახვილებული.

მხატვრული განზოგადების მაქსიმუმი მიღწეულია მაშინ, როდესაც მთელ მუსიკას ისე შეეგრძნობო, როგორც სინამდვილის თავისებური აღქმისა და შემოქმედების ნაყოფს, ცხოვრებისეული მოვლენების ისეთ განკვრეტას, რომელიც განუყოფელია ხელოვანის ინდივიდუალობისაგან. ა. ბალანჩივაძის I სიმფონიაში ერთ-ერთ მთავარ თემად საგალობელია გამოყენებული, მაგრამ იგი უაღრესად თავისებური ინტონაციური აზროვნების ბირთვი ხდება. ნაწარმოების ფინალში ტრაგედიული ძალა სწორედ ამ ბირთვიდან ამოიზრდება.

ა. მაჭავარიანის ერთ-ერთი საუკეთესო რომანსი „მზეთამზის სახეო“ ღრმად ინდივიდუალური და ამავე დროს ჰეშმარიტად ქართული ხასიათისა არის. მის განწმენდილ და ამაღლებულ მუსიკაში მშვენიერი საწყისის ეროვნული იდეალია განსახიერებული. მაგრამ ფოლკლორულ წყაროებთან კავშირი არ შეიგრძნობა. რომანსის მუსიკა მთლიანად ა. მაჭავარიანის ფანტაზიის ნაყოფია და აღბეჭდილია მისი შემოქმედებითი თავისებურებებით. მასში რომანტიული მსოფლაღქმა იგრძნობა, რაც ესოდენ გვხიბლავს კომპოზიტორის სხვა ნაწარმოებებშიც. ამ მუსიკის ინტონაცია ჩვენს შეგრძნებაში ჰეშმარიტად ეროვნულის ადგილს იმკვიდრებს და ერთ-ერთ შესანიშნავ კანონზომიერებაზეც მიგვითითებს: ეროვნულს შემოქმედებითი ინდივიდუალობა ქმნის და ავითარებს.

დამოუკიდებელი ინტონაციური აზროვნება, ფოლკლორის სპეციფიკური მხარეების შესაძლებლობათა გახსნა ჰეშმარიტი შემოქმედების თვისებაა. რასაკვირველია, ხალხური მუსიკა უშრეტი წყაროა პროფესიული ხელოვნებისათვის, მაგრამ არა ერთად-ერთი. ჩვენი ცხოვრება ახალ-ახალ და გამოუცნობ მოვლენათა პირისპირ გვაყენებს. თვით ჩვენი მეობა მუდმივ და, ხანდახან წინააღმდეგობრივ ევოლუციას განიცდის. ჩვენი სულიერი კულტურა რთულდება და მრავალფეროვანი ხდება და ცხოვრების მიერ დაყენებულ საკითხებს ხელოვნებაც ახლებურად უნდა უპასუხებდეს.

ეს იიანელ რომ არ ახლდეს ხელოვნებას, მისი ქმედითობა შესუსტდებოდა და იგი თავის საზოგადოებრივ დანიშნულებას ვერ შეასრულებდა. ამიტომ კომპოზიტორი ვერ დაკმაყოფილდება მხოლოდ წარსულის სიმდიდრეთა გამოყენებით. იგი უპირველეს ყოვლისა უნდა ქმნიდეს ახალს, ეძებდეს. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა! ახალი ხომ ომას ნიშნავს, რაც უწინ არ არსებობდა და ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად თვით ცხოვრებას მოაქვს. ვინც სიახლეს ეძებს და აღმოჩენების გზით მიდის, ის განსაკუთრებული მხარდაჭერის ღირსია, იმიტომ რომ ასეთი შემოქმედება არა მარტო წარსულის მხატვრული განზოგადებაა, არამედ დღევანდელი დღის პასუხიც და მომავლის განკვრეტაც. ჩვენი მუსიკა არა მარტო თვითმყოფადი უნდა იყოს, არამედ ჩვენი საზოგადოების სულიერი საზრდოც.

გ. ორჯონიკიძე.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ • ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ • ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ • ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲒᲘᲠᲝ ᲒᲖᲔᲑᲘ

ᲧᲐᲖᲑᲔᲑᲘ — ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐ, ᲡᲘᲚᲜᲐᲚᲘ — ᲬᲜᲝᲠᲘ.

ᲧᲐᲖᲑᲔᲑᲘ... ვინ მოთვლის, რამდენ პოეტსა თუ მწერალს შეუსხამს ხოტბა მარადთოვლიანი კავკასიონის ამ დიდებული მწვერვალისათვის, რამდენ ტურისტ-ექსკურსანტს უნატრია ასვლა იქ.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შეაცბრნან...

ეს დიდებული მწვერვალი მხოლოდ ალპინისტებისათვის იყო მისაწვდომი, მხოლოდ ამ გაბედულ ადამიანებს შეეძლოთ ასულიყვნენ მყინვარებზე და დამტკბარიყვნენ ბუნების გასაოცარი სილამაზით. მაგრამ ეს იყო წარსულში. დღეს კი...

„საქგიპრომშახტის“ ინჟინერ-ტექნიკოსებმა დაამუშავეს სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის პროექტი: ყაზბეგი-სამების მთა. ამ გზით მომავალში ყაზბეგის მწვერვალი მისაწვდომი გახდება ყველასათვის. პროექტის ავტორებს ჩაფიქრებული აქვთ საბაგირო გზა გააგრძელონ კიდევ უფრო მაღლა, მეტეოროლოგიურ სადგურამდე, რომელიც ზღვის დონიდან 4.000 მეტრზე მდებარეობს.

— რთული გეოგრაფიული რელიეფის გამო ტრასა ყაზბეგი — მეტეოროლოგიური სადგური, — გვეუბნება პროექტის მთავარი ინჟინერი ვ. ციცვიძე, — გავყავით სამ ნაწილად. ჯერ დავაპროექტეთ საბაგირო გზა ყაზბეგი — სამების მთა. როცა ამ გზის მშენებლობა განხორციელდება, გაკეთდება გზა სამების ტაძრიდან ბეთლემის გამოქვაბულამდე და შემდეგ ბეთლემიდან მეტეოროლოგიურ სადგურამდე. ეს საბაგირო გზა ყველაზე მაღალი იქნება საქართველოში.

ვინაიდან ამჟამად უკვე დამთავრებულია ყაზბეგი—სამების მთის საბაგავრო საჰაერო-საბაგირო გზის პროექტი, ვიტყვით, თუ რას წარმოადგენს იგი.

საბაგირო გზა ძირითადად მოიმსახურება ცენტრალური ტურისტული მარშრუტის ტურისტ-ექსკურსანტებს, რომლებიც სამხედრო გზაზე გადიან. საბაგირო გზის ქვედა სადგური ამშენდება ყაზბეგის მუზეუმის გვერდით. საჰაერო ვაგონით, რომელიც 6 მგზავრს იტევს, ტურისტები გადაეკვლიან მდინარე თერგს, საქართველოს სამხედრო გზას, სოფელ გერგეტს და ავლენ სამების მთაზე. ამ მანძილს — 1875 მეტრს ისინი რამდენიმე წუთში დაფარავენ.

სწორედ სამების ტაძრის მახლობლად, ისე რომ არ დაირღვეს მისი საერთო ანსამბლი, ზღვის დონიდან 2171 მეტრზე ამენდება ზემო სადგური.

საყურადღებოა „საქგიპრომშახტში“ დაპროექტებული სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა სიღნაღი-წნორი, რომლის სიგრძეა 4.500 მეტრი.

სოფელი წნორი ალაზნის ველზეა გაშენებული. ბევრი წნორელი მუშაობს სიღნაღის ტანსაცმელეულის ფაბრიკაში. ეს საბაგირო გზა ყველაზე მაღალი იქნება საქართველოში.

ვინაიდან ამჟამად უკვე დამთავრებულია ყაზბეგი—სამების მთის საბაგავრო საჰაერო-საბაგირო გზის პროექტი, ვიტყვით, თუ რას წარმოადგენს იგი.

საბაგირო გზა ძირითადად მოიმსახურება ცენტრალური ტურისტული მარშრუტის ტურისტ-ექსკურსანტებს, რომლებიც სამხედრო გზაზე გადიან. საბაგირო გზის ქვედა სადგური ამშენდება ყაზბეგის მუზეუმის გვერდით. საჰაერო ვაგონით, რომელიც 6 მგზავრს იტევს, ტურისტები გადაეკვლიან მდინარე თერგს, საქართველოს სამხედრო გზას, სოფელ გერგეტს და ავლენ სამების მთაზე. ამ მანძილს — 1875 მეტრს ისინი რამდენიმე წუთში დაფარავენ.

სწორედ სამების ტაძრის მახლობლად, ისე რომ არ დაირღვეს მისი საერთო ანსამბლი, ზღვის დონიდან 2171 მეტრზე ამენდება ზემო სადგური.

საყურადღებოა „საქგიპრომშახტში“ დაპროექტებული სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა სიღნაღი-წნორი, რომლის სიგრძეა 4.500 მეტრი.

სოფელი წნორი ალაზნის ველზეა გაშენებული. ბევრი წნორელი მუშაობს სიღნაღის ტანსაცმელეულის ფაბრიკაში. ეს საბაგირო გზა ყველაზე მაღალი იქნება საქართველოში.

ამ ორ ობიექტს შორის ყოველდღიური ადმინისტრაციული, კულტურული და სამეურნეო კავშირი. წნორისა და სიღნაღის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა ვერ აკმაყოფილებს მგზავრების მოთხოვნილებას. რიული რელიეფის გამო განსაკუთრებით ჭირს მოგზაურობა ზამთრობით. სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა კი ყოველ ამინდში იმუშავებს მეუფლრებლად და მანძილს ქვედა სადგურიდან სიღნაღამდე 12 წუთში დაფარავს. საჰაერო „ავტობუსი“ ერთდროულად გადაიყვანს 30 კაცს. ერთ საათში საბაგირო გზა მოემსახურება 200-მდე მგზავრს.

ამჟამად „საქგიპრომშახტის“ ინსტიტუტში მუშავდება ავრეთვე ბათუმის სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზის პროექტი, რომელიც ბარათაშვილის სკვერს დაკავშირებს ბათუმის მთასთან. საბაგირო გზის სიგრძე 1.500 მეტრი იქნება.

საჰაერო-საბაგირო გზები, ტრანსპორტის ეს საუკეთესო სახე, სულ უფრო და უფრო მკვიდრდება ჩვენს ცხოვრებაში.

ლ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲤᲔᲠᲗᲐ ᲤᲔᲘᲔᲠᲕᲔᲠᲙᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (ჩვენი საკ. კორ.). სოკოლნიკში გუშინ დაიხურა ქსოვილების სარესპუბლიკათაშორისო ბაზრობა, რომელიც დაახლოებით ორ თვეს გრძელდებოდა. ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო თბილისისა და ქუთაისის საფეიქრო საწარმოებში დამზადებული ქსოვილებიც. აქ მარტო საფეიქრო მასალები როდი იყო წარმოდგენილი, ბაზრობის ათასობით დამთვალიერებელი, რომელთა შორის იყვნენ არა მარტო ფეიქრები, არამედ სამკერვალო საწარმოების, უნივერმაღაზიების, საკერავ ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, გაეცნო ახალი ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლის მოდელებს, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა მოდელების სახლებმა წარმოადგინეს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საქართველოს საფეიქრო საწარმოთა მიერ გამოშვებული მასალებისაგან შეკერილი ტანსაცმლის მოდელების დემონსტრირება.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲗᲐ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

□ **ᲑᲐᲗᲣᲛᲘ.** (საკ. კორ.). ახალშენი ერთერთი ლამაზი და კეთილმოწყობილი სოფელია ბათუმის რაიონში. თვალს ასარებს მთის ფერდობებზე კოპწია ოდა-სახლები, კოლმეურნეობის ცენტრში სამსართულიანი კულტურის სახლი, ბიბლიოთეკა, საექიმო პუნქტი და სხვ.

ახალშენი დღითიდღე მშვენდება. სოფლის ცენტრში ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასადილო, კოლმეურნეთათვის აიგო ამბანო-სამრეცხაო. სწრაფი ტემპით შენდება საშუალო სკოლა, სადაც 520 მოსწავლე იმეცადინეებს.

□ **ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ** საქალაქო საბჭოს აღმასკომმა პუშკინის ქუჩაზე ააშენა და საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი ოთხსართულიანი 24-ბინიანი შენობა.

ამ დღეებში ახალ საცხოვრებელ ბინაში უკვე შესახლდნენ ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები.

ᲚᲐ. ᲨᲐᲓᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

□ **ᲩᲮᲝᲠᲝᲬᲧᲣ.** (საკ. კორ.). თბილისის ტელესტუდიის გადაცემებს მთიან რაიონებშიაც იღებენ.

ცისფერი ეკრანი აინთო ჩხოროწყუელ, ქვედაჩხოროწყუელ, ახუთელ, ღესიკინელ, ზუმელ, კირცხელ მშრომელთა ოჯახებში.

ამჟამად ჩხოროწყუს რაიონში 1.500-ზე მეტ ოჯახს უდგას ტელეეთერი.



ᲡᲝᲩᲮᲨᲘ. მშვიდობის პროსპექტი.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ᲣᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲠᲯᲔ

ᲕᲔᲨᲐᲞᲘ — „ᲕᲘᲢᲐᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ“

ერთი კილოგრამი ვეშაპის ღვიძლი შეიცავს 250-ჯერ მეტ ვიტამინ „A“-ს, ვიდრე ერთი კილოგრამი ვირთევზას ღვიძლი. ამავე დროს თუ გვითვალისწინებთ, რომ გიგანტის ღვიძლი იწონის დაახლოებით ერთ ტონას, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რა სარგებლობა მოაქვს ვიტამინების ამ „მცურავ ფაბრიკას“.

ᲡᲐᲛ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲐᲛᲓᲔ ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲝᲑᲐ

სამ კილომეტრამდე სიგრძის შემადგენლობა საათში 75 კილომეტრი სისწრაფით მიაჭრის. 250 ვაგონით მიაქვთ ტვირთი — 25.000 ტონა ქვანახშირი. შემადგენლობას ეწევა რვა თბომავალი, რომელსაც რადიოთი მართავენ მეწინავე ლოკომოტივიდან. ასეთი მატარებელი მოძრაობს ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვანახშირის რაიონსა და ერთ-ერთ თბოელექტროცენტრალს შუა.

ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝ ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ „ᲞᲔᲒᲐᲡᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ. ᲠᲐᲙᲔᲢᲐ ᲓᲐᲘᲢᲔᲕᲡ 260 ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲡ. ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲛᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ „ᲞᲔᲒᲐᲡᲘᲡ“ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲐᲕᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ 17.000 ᲛᲘᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲨᲘ.

ᲒᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲙᲐᲪᲐ

ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ითელებოდა, რომ შინაური კატებს „სპეციალობა“ თაგვების განადგურებაა. მაგრამ კატა მირონმა, რომელიც მგზავრობდა გეოლოგებთან ერთად ულტა-იერტის (უბეკეთი) ქვიან ველებზე, მარმარილოს ბადეებზე, ეკალ-ეკალ ბუჩქებზე, ეკალ-ბარდებზე, ეკალ-ეკალ ბალახებზე, ეკალ-ეკალ ბოლოებზე, ეკალ-ეკალ ფეხებზე, ეკალ-ეკალ ბალიშებზე, ეკალ-ეკალ ბალიტებზე, ეკალ-ეკალ ბალიტებზე, ეკალ-ეკალ ბალიტ